

K 932
Kta

საქ. სსრ პარლამინ სამინისტრო
სანიტარეზი გენერალუბის გენერალების

ქადაგოვნის
აოვლა
ლექცია პირისათვის



საქმედგამი
თბილისი.

1946

616 - 083

საქ. სსრ ჭანაროვების ჩავთვის სამინისტრო
საციტარული განათლების განყოფილება

კვერაულის მოვლა
ოჯახურ პირობების

ა. 3. 2010-17070 K 932
1a

6 5 8 8 0 1 8 5 8 0
0 3 0 1 3 0 6 0
- 1946



3/88. රුදුවැඩ්පිලිරෝ යු. එ. සෙනසේ

ලේඛ. № 360.

අග්‍ර. 3000.

වා 12017.

ජාතිකාලීන ප්‍රාමික, වෘත්තීය, සංස්කෘතීය, ආග්‍රාමික, ප්‍රාග්‍රහීය ශ. № 365

როგორ მოვუაროთ ავაღმყოფს სახლში

ბინაზე ავაღმყოფის მოვლის ცოდნა შეადგენს ყოველი საბჭოთა ქალის ისეთივე მოვალეობას, როგორც პირველი სამელიცინო დახმარების აღმოჩენა.

დაშავებულის ან ავაღმყოფის მოვლა მოითხოვს დიდ შიომინებას და თავვანწირვას. მაგრამ მარტო ეს როდი კმარა. აზრიანი, კვალიფიციური მოვლა მოითხოვს კონკრეტულ ცოდნას და ჩვევებს. ყველას, ვისაც გარემოებამ დააკისრა ავაღმყოფზე ზრუნვა, უნდა ახსოვდეს, რომ მათი მოვლა—მკურნალობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, რომ ექიმის ან ფერშლის ყველა დანიშვნათა კეთილსინდისიერ, წესიერ, დროულ შესრულებაზე დამოკიდებულია არამარტო მკურნალობის წარმატება, არამედ ძალიან ხშირად ავაღმყოფის თვით სიცოცხლეც. ავაღმყოფის მომელელი, ამნაირად წარმოადგენს ექიმის ან ფერშლის უშუალო თანაშემწევს.

როგორ მოვუაროთ ავაღმყოფის საღვამს, მის ლოგინს, სახმარ საგნებს: როგორ მოვექცეთ თვით ავაღმყოფს, როგორ უნდა მისი გადაწვენა, თეთრეულის გამოცელა; როგორ გაგზომოთ და დაგწეროთ ავაღმყოფის ტემპერატურა, დავთვალოთ მაჯა, სუნთქვა, უთვალყუროთ ავაღმყოფის მაღას, ძილს, მისი კუჭის მოქმედებას, ყველა ცვლილებებს ავაღმყოფის მიმღინარეობაში?

როგორ უნდა დავაფგათ კოტოშები, სათბური, კომპრესი, ოყნა, შეცუხვიოთ, წამალი მისცემთ, როგორ

მოვაწყოთ აეადმიყოფის წესიერი კვება.

კველაფერ აშას უნდა დატუფლოს ავადმიყოფის მომვლელი.

გადამდებ დაავადებულის მომვლელმა, აშას გარდა, უნდა იცოდეს აგრეთვე კველა იმ ღონისძიებათა გატარება, რომელნიც ხელს უშლიან სხეულების გაერცელებას.

თავისთავად ცხადია, რომ ცნობები, რომლის მიღებაც შეიძლება წიგნებიდან და ბრიშურებიდან, არ არის საკმარისი, რომ ავადმიყოფის მოვლა ვისწავლოთ. ამიტომ საჭიროა გამოყენებულ იქნას ყოველგვარი სა-შუალება საავადმიყოფოში, პოსპიტალში, მუშაობისათვის იმ მიზნით, რომ მივიღოთ საჭირო ჩვევები და პრაქტიკული გამოცდილება. მუშაობა საავადმიყოფოში ან პოსპიტალში ერთი თვის განმავლობაში 1,5—2 საათი მაინც დღეში, გამოცდილ სამედიცინო დის ხელმძღვანელობით, უდიდეს სარგებლობას მოიტანს. ასეთი პრაქტიკული გამოცდილება განსაკუთრებით ესაჭიროება ჯანმრთელობის დაცვის აქტივისტებს—საზოგადოებრივ სანიტარიულ ინსპექტორებს, სანიტარიულ გუშაგს. წითელი ჯვრის ქალაქის და რაიონის კომიტეტშა და ადგილობრივშა ჯანმრთელობის განყოფილებამ უნდა უწრუნველყონ—ჯანდაცვის აქტივისტების საავადმიყოფოში მუშაობის შესაძლებლობა, იმ ინგარიშით, რომ მოკლე გადაში ისინი დაეუფლონ ავადმიყოფის მოვლის დარგში უსაჭიროეს ჩვევებს.

საღოთვი და საყოფაცხოვრებო საზეპი

სუფთა პაერი, მშის სინათლე, სისუფთავე ხელს უწყობს ავადმიყოფის მუურნალობის წერმატებას და მის ჩეარა განკურნებას. ამიტომ ადამიყოფი უზრუნველყოფილი უნ-

და იქნეს მისთვის ყველაზე უფრო სასარგებლო სატი-
ნაო პირობებით. თუ არსებობს საამისო საშუალება,
ავადმყოფს უნდა დაეთმოს ცალკე და ყველაზე უფრო
განიერი, სუფთა, სინათლიანი, უმჯობესია მზიანი ოთა-
ხი. თუ ასეთი შესაძლებლობა არ არის, მაშინ ავად-
მყოფი უნდა მოვათავსოთ საერთო ოთახის საუკეთესო
ნაწილში. ავადმყოფის ოთახში ან საერთო ოთახის იმ
ნაწილში, სადაც მოთავსებულია ავადმყოფი, უნდა იყოს
დატოვებული მხოლოდ ყველაზე უფრო აუცილებელი
ნიერები. საწოლი, პატარა მავიღა ან მისი მავიერი სა-
ჯდომი, 2-3 სკოპი, ხელსაბანი. ყველაფერი ნაკლებად
საჭირო ან ზედმეტი საგნები შეძლებისდაგვარიად ოთა-
ხიდან გარჩანილი უნდა იქნეს. რამდენად ნაკლები იქნება
ოთახში ნივთი, იმდენად უფრო ადვილი იქნება დასუ-
ფთავება, იმდენად ნაკლებად დაგროვდება მტვერი და
იმდენად, მაშასადმე პატარიც მეტი სუფთა იქნება. ოთა-
ხი, სადაც ავადმყოფი წევს, უნდა იყოს ცოტად თუ ბევ-
რად თბილი, დაახლოვებით 16—18 გრადუსი ცელსით,
თუ ამის შესახებ არ არის ექიმის ან ფერშედის რაიმე
სპეციალური მითითება.

ოთახი უნდა განიავდეს დღეში რამდენიმეჯერ: უსა-
თყოდ დილით და დალამებისას, ამას გრძელ დალაგე-
ბის, ღუმელის დანორების დროს, და აგრეთვე ავადმყო-
ფის კარში გასვლის შემდეგ. ოთახის პატარის გასუფთა-
ვება უნდა ხდებოდეს ზაფხულშიც და ზამთარშიც იმ
განსხვავებით, რომ ზამთარში ყოველი განიავება სწარ-
მოებს უფრო მოკლე ვადის განმავლობაში (10—15 წუ-
თი), ხოლო თბილ დროს—უფრო ხანგრძილვად. სიციან
ამინდში საზოგადოდ მოელი დღე ფანჯრები ღია უნდა
იყოს იმ პირობით, რომ ფანჯრაზედ ჩამოკიდებულ ქა-
ღალდის ზოლების საშუალებით, რომლებიც თავისი მუდ-

შივი მოძრაობით აფრითხობენ და არ უშვებენ ბუზებს ოთახში, ოთახი დაცული იქნება ბუზების შემოფრენისაგან. იმავე მიზნისათვის ფანჯარაში შეიძლება ჩაიღვას ქსელგადაკრული ან მარლა გადაკრული ჩარჩო. ჰაერის გასუფთავების დროს ავადმყოფი დაცული უნდა იყოს ჰაერის ცივი ქროლვისაგან, გამკრავ ქარისაგან. ამისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას შირმა ან თბილად შეიფუთოს ავადმყოფი და გულდასმით შემოკეცოს მას ყოველმხრივ საბანი. თუ სადგომში ფანჯრის სარკმელი არ არის და ფანჯრები დაწებილია, მაშინ ავადმყოფის ოთახის განიავება შეიძლება კარების გაღებით ან ლუმელის მილის გაღებით.

ავადმყოფისათვის სუფთა ჰაერის უზრუნველსაყოფად საჭიროა (წესიერ განიავების გარდა), არ დაუშევთ ავადმყოფის ოთახში თამბაქოს წევა, თეთრეულის რეცხვა და შრობა, საკეტების დამზადება.

ავადმყოფის სადგომის დასუფთავება განსაკუთრებით გულდასმით უნდა სწარმოებდეს, რომ მტევრი ამ დროს არ დადგეს, უმჯობესია იატაკის დაგვა სწარმოებდეს ოდნავ ნამიანი ჩარით დახვეულ ჯაგრისით, თუ იატაკის დაგვა გვიხდება ცოცხით, მაშინ იატაკზე წინასწარ უნდა მოვასხუროთ წყალი. დაგვის შემდეგ ჩარი უნდა მოხსნათ ჯაგრისისაგან, კარგად გარეცხოთ და გააშროთ. არაუგვიანეს კვირაში ერთხელ იატაკი უნდა მოირეცხოს ცხელი წყლით. შემოდგომასა და გაზაფხულზე, როდესაც სოფლის პირობებში, სადგომში ფეხით ხშირად შემოაქვთ ტალახი, იატაკი უნდა მოირეცხოს რასაკვირველია უფრო ხშირად, განსაკუთრებით, თუ იატაკი უბრალოა—შეუდებავი. იატაკი უნდა დაიგავოს და მოირეცხოს ძალიან გულდასმით—არ უნდა იქნეს

დაშეუტყილი მტკიცის და ნაგავის დაფრთხების კუთხებში, საწოლის ქვეშ და სხვა.

დასუფთავების დროს საჭიროა ოდნავ ნამიანი რძილი ჩერით ყოველდღე მოსუფთავდეს მტკიცი ყველა ავტოზე და საზოგადოთ თათახში მყოფ ყველა ნივთზე და აგრეთვე დროგამოშევებით ჭერი და კედლები მოსუფთავდეს, აბლაბედა რომ არ ვაჩნდეს.

ავადმყოფის საწოლი უმჯობესია ისე დაიდგას, რომ შესაძლებელი იყოს მასთან ყოველმხრივ მისვლა. თუ ეს უეუძლებელია და საწოლი იძულებული ვართ კედლელთან დავდგათ, მაშინ საწოლსა და კედლელს შორის უნდა დარჩეს თავისუფალი არე 30 სანტიმეტრამდე. ეს გაადვილებს იატაკის დაგვას და ლოვინის გამოკვლას. ავადმყოფი უნდა დააწვინო ისე, რომ ფანჯრიდან სისინათლე მის თვალებზე არ მოქმედებდეს.

კულაზე უფრო პიგირულია რკინის საწოლი ქსელით. ასეთ საწოლებში არც ისე აღვილად იზულებენ ჩალლინჯოები, მხოლოდ თუ ისინი მაინც ვაჩნდა, ადგილად მოისპონა მღულარის გადავლებით ჩარჩოზე და ქსელზედ, განსაჭურრებით კი ჩარჩოზე ქსელის მიშაგრების ადგილებში. სასურველია დაგოს ბინალის ან ჰილის ბალახის ლეიბი, რომელზედაც უნდა დაიგოს უნაოქო ზეჭარი. ზეჭარის ბოლოები უნდა შემოკეცოს ლეიბის ქვეშ და იქ დამაჯრდეს ინგლისური ქინძისთავებით ან ძაფით. თუ იძულებული ვართ ვისტარებულოთ ნამდგრალი ლეიბის მაგიერ თივით ავსილი ტომარით, მაშინ ის შეძლებისდაგვარად ყოველდღე უნდა სწორდებოდეს და დროგამოშევებით თევა იცვლებოდეს. საჭიროა უთვალუროთ, რომ ზეჭარზე არ დარჩეს პურის ნამცეცები და საზოგადოდ არავითარი მაგარი ნარჩენები. ეს აწუხებს ავადმყოფს. საბანს უნდა ქონდეს გამოფენილი

ზეწარი. მომარაგებული უნდა იყოს შეძლების დაგვარად ლოგინის და ჩასაცმელი თეთრეულის ორი ცვლა. თავ-ქვეშ სასურველია დაუდოთ ორი ბალიში

თეთრეული—ლოგინის და ჩასაცმელი—გამოუცვა-ლეთ გაჭიშუიანების მიხედვით, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში არაუგვიანეს 10 დღეში ერთხელ, ეს მაშინაც კი, როდესაც საცვალი ფერადია და გარეგნობით სუფთაა.

ცალკეულ შემთხვევებში, რასაკვირველია, შეიძლება წარმოიშვას სიძნელეები თეთრეულის რეგულარულ გა-მოცვლაში და გარეცხვაში. მიუხედიად ამისა, აუცი-ლებლად საჭიროა მივიღოთ ყველა ღონისძიება, რომ ავალმყოფი მოვლილი იყოს სუფთად. უკიდურეს შემთხვევაში თეთრეული შეიძლება გაირეცხოს მხოლოდ მტკუ-ტეში, ასეთ გარეცხვამდე კი თეთრეული უნდა წინას-წარ დალბობილი იქნას რამდენიმე საათით ცივ წყალში და შემდეგ გამოხარშული.

ლოგინის თეთრეულის გამოცვლისათვის უმჯობესია ავალმყოფი დროებით მეორე საწოლზე, ან გრძელ სკამ-ზე, ან დივანზე გაადაწვინოთ. ავალმყოფის გადაყვანა შეუძლია ორ კაცს. ორივე ისინი დგებიან საწოლის ერთ მხარეზე. ერთი შეუყოფს ერთ ხელს თავქვეშ, მეო-რეს კი—წელქვეშ, მეორე—ერთ ხელს შეუყოფს აგრე-ოვე წელქვეშ, ხოლო მეორე ხელს მუხლებს ქვეშ ან თე-ძოებს ქვეშ. აწევა უნდა ერთდროულად, არა უცბად (განსაკუთრებით თუ ზევით სწევენ მძიმედ დაჭრილს ან მძიმე ავალმყოფს), გადააქვთ აუჩქარებლად და დაუშვე-ბენ ძალიან ფრთხილად, ამის შემდეგ ხელებს ფრთხი-ლად გამოაძრობენ ისე, რომ ავალმყოფს არ მიაყენონ ტკივილები.

ზოგიერთ შემთხვევაში გადაყვანა უნდა სწარმოებ-

დეს სამედიცინო მუშაკის მითითების ზუსტად შესრულებით ან მისი ხელმძღვანელობით.

თუ არავინა დამხმარე ავადმყოფის გადაყვანის დრო, ან ასად შეიძლება მისი გადაყვანა, მაშინ ზეწრის გამოცვლის აწარმოებენ ასე: ავადმყოფს გადაუნაცვლიან რაც შეიძლება ახლო ლოგინის ერთ ნაპირისაკენ, ჭუჭყიან ზეწარს აგორებენ ავადმყოფამდე; შემდევ წინასწარ დარგვალებულ სუფთა ზეწარს დაუებენ საწოლის განთავისუფლებულ კიდეზე და შლიან რგოლს სანაშისიც ავადმყოფს არ მიაღწევს. შემდევ ფრთხილად გადაყვანენ ავადმყოფს სუფთა ზეწარის გაშლილ ნაწილზე, გაჟმოაგდებენ ჭუჭყიანს და საბოლოოდ გაშლიან სუფთას, მაშინვე ამოუკეცენ ლეიბს ქვეშ და ამაგრებენ იქ ძაფით ან ინგლისური ქინძისთავით.

საბანიც შეძლებისდაგვად დროგაშოშვებით უნდა გამოიცვალოს, განსაკუთრებით, თუ ავადმყოფობა გაჭიანურებულადა. ყოველ შემთხვევაში საბანი, აგრეთვე ლეიბი, კვირაში ერთხელ მაინც უნდა განივდეს და გაიბერტყოს (ეს უნდა ხდებოდეს ეზოში და ლით ფანჯრებისაგან მოშორებით).

საწოლის წინ (განსაკუთრებით თუ ავადმყოფი დამოუკიდებლად ჩამოიდის საწოლიდან ბუნებრივ მოთხოვნილებათა დასაქმიაყოფალებლად) უნდა ევოს პატარა ნოტი ან სხვა საგები, რაც ყოველდღე უნდა გაიბერტყოს და გაშრეს.

ჭურჭელი, რომელიც განკუთვნილია ბუნებრივ მოთხოვნილებისათვის (ქოთანი, და სხვა) ხმარების შემდეგ დაუყონებლივ უნდა იცლებოდეს (გადაევლოს მდულარე, გულდასმით გაირეცხოს). ასეთი ჭურჭელი უნდა იდგეს საწოლის ქვეშ მუყაოთ, ფანერით, ან ქალალით თავდახურული.

აფალმყოფის საწოლის მახლობლად უნდა იდგეს საფურთხებელი, რომელშიც მკურნავ სამედიცინო მუშაკების მითითებით უნდა ჩაისხას- სადეზინფექციო ხსნარი. საფურთხებელი კოველდღე უნდა დაიცალოს, გულასმით გარიეცხოს.

ღმის ჭურჭლის, შესადგამ ჭურჭლის და სხვათა დეზინფექციის წესების შესახებ მოხსენებული იქნება ცალკე.

საწოლთან შედგომი პატარა მაგიდა ან მისმაგირო სკარი და სხვა, აგრეთვე მეტად სუჟთად უნდა იყოს შენახული. არაფერი ზედმეტი არ უნდა დაიღვას ზედ, გარდა ყვავილებისა, განსაკუთრებით განკურნების პერიოდში.

პირადი სარგებლობისათვის ავადმყოფს უნდა გამოუყოთ პირსახოცი, ჭიქა, თეფში, კოგზი, ჩანგალი. რეცხვაში ისინი სხვა ჭურჭლეულს არ უნდა შეერთოს. ავადმყოფთან უნდა იდგეს ნადული წყალი სურით ან დახურულ ჭიქით.

ყველა საჭირო საკანი, რომელიც შეიძლება იყოს საჭირო ავადმყოფობის ხასათის და ექიმის დანიშვნის მიხედვით, უნდა იყოს იქვე, მაგრამ ყველაფერი თავის განსაზღვრულ აღვილზე.

ავადმყოფი უნდა უზრუნველეყოთ სიჩუმით და მყუდრეობით. ამიტომ ხმამაღლალი ლაპარაკი, ყვირილი, ხმაურობა ბინაში, სადაც ავადმყოფი წევს, დაუშვებელია. არ შეიძლება აგრეთვე დაშვებულ იქნას ავადმყოფთან ბევრი მნახველი ერთად, განსაკუთრებით დიდი ხნით. ეს საკითხი საზოგადოდ უმჯობესია შეუთანხმოთ ავადმყოფის მკურნალ სამედიცინო პერსონალს.

სისუფთავე და წესრიგი ავადმყოფის ოთახში უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს წესიერ მოვ-

ლის სთვის. სისუფთავე და წესრიგი დაცულ უნდა იქნას ყოველ მიზეზსა და სიძნელეთა გარეშე. ამასთან უნდა გვახსოვდეს რამდენად უფრო ცუდია, უფრო ვიწროა საჟღომი, იმდენად უფრო მეტრად უნდა იქნეს დაცული სისუფთავე, იმდენად უფრო ხშირად და უფრო გულ-დასმით უნდა სწარმოებდეს დასუფთავება.

ავადმყოფის პირადი პიგიენა

ავადმყოფის პირად ჰიგიენას, განსაკუთრებით მძიმე ავადმყოფის, ყოველთვის დიდი ყურადღება ეჭიცევა. ყოველ დღე დილით ავადმყოფს სახე უნდა დაბანოთ თბილი წყლით, განსაკუთრებული სიბეჯითით ჰელები. თუ ავადმყოფს შეუძლია შეასრულოს ეს დამოკიდებლად, მაშინ მან უნდა დაიბანოს ტაშტჩე, მჯდომარე მდგომარეობაში, ტაშტი უნდა დაიღვას კლიონებზე ან სხვა საფარზე საბანს ზევით. წყალი ფრთხილად დაუსხით.

მძიმე ავადმყოფს პირისახე უნდა მოწმინდოთ წყალში დასველებულ ბამბით ან სველი პირსახოცით. თავქვეშ ამ დროს დაუფინეთ მუშამბა ან სუფთა, მთელი ჩვარი.

ავადმყოფს ხელები უნდა ღაბანოთ ყოველთვის ჭამის წინ და ბუნებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კბილებისა და პირის ღრუს მოვლას. თუ ავადმყოფს შეუძლია, მან თვითონ უნდა გაისუფთაოს კბილები ყოველ დღე. კბილის ფხვნილი, თუ არ არის, შეიძლება ზევალოთ სუფთად დაფხვნილ ხის ნახშირით, ამას გარდა, ღამით, და ყოველთვის ჭამის შემდეგ, ავადმყოფმა

უნდა გამოიყლოს პირში და ყელში თბილი წყალი ან
ექიმის მიერ გამოწერილი ხსნარი.

მძიმე ავადმყოფს დასჭირდება ღრძილების, ენის,
კრილების გამოწენდა შემდეგნაირად: ავადმყოფის მო-
მცლელი გულდასმით იბანს ხელებს: შემდეგ შემო-
ისვეს საჩვენებელ თითხე ბაზბას ან სუფთა ჩეარს,
რომელიც წინასწარ დასველებულ უნდა იყოს თბილ
წყალში ან და უფრო უკეთესია, ბორის სიმუავის ხსნარ-
ში (ჩის კოგზი ბორის სიმუავე ერთ ჭიქა თბილ წყალ-
ზე), ან საჭმელი მარილის ხსნარში (მზადდება ისევე),
ან სხვა რომელიმე ხსნარში—სამედიცინო შუშავის მი-
თითებით. პირის ღრუც ასევე გამოიწმინდება, გულდა-
სმით, მაგრამ ფრთხილად.

ზოგიერთ შემთხვევაში, ექიმის ან ფერშლის დანი-
შვნით, პირის ღრუს გამოასუფთავებენ წამლით.

ყოველ 2-3 დღეში, ხოლო უწვი ოფულიანობის
დროს უფრო ხშირად, ავადმყოფს მობანენ ცხელი
წყლით ფეხის გულს, ილლიაში, ბაყვებში და სხვ. უკანა
ტანი და სხეულის მახლობელი ნაწილი, კარში გა-
სულის შემდეგ უნდა გამობანოთ ან გულდასმით გამო-
წმინდოთ თბილ წყალში დასველებული ჩერით. ავად-
მყოფს ფრჩხილები ფეხებზე და ხელებზე უნდა მოჭრათ
რაც შეიძლება მოკლედ.

ტანის დაბანის საკითხი შეთანხმებული უნდა იყოს
ავადმყოფის შეურნალ ექიმთან.

თეთრეული ეცვლება ვაჭუჭყიანების მიხედვით,
მაგრამ არა უგვიანეს 10 დღეში ერთხელ. თეთრეული
უსათუოდ უნდა გამოიყენოს, როდესაც ავადმყოფს
უჰეად მოუვა ოფული. მამკაცებს ასეთ შეტახვებაში პე-
რანგი მაინც უნდა გამოეცვალოს.

მძიმე ავადმყოფს პერანგს უცვლიან ასე: ავადმყოფს ორივე მხრიდან ჯერ პერანგს თუწევენ კისრამდე, ფრთხილად გადაძრობენ თავზე და შემდეგ გაუნთავისუფლებენ ხელებს. თუ ავადმყოფის ხელები დაზიანებულია, მაშინ არაა კეთილგვლია ხელებს არ თუწევენ, არამედ პერანგის თავზე გადაძრობის შემდეგ ფრთხილად ჩიმოძრობენ სახელოვანს. თუ დაზიანებულია ცალი ხელი, მაშინ ჯერ გააძრობენ ჯანმრთელ ხელს, ზოლო შემდეგ ფრთხილად ჩამოძრობენ სახელოს ავადმყოფ ხელზე.

პერანგის ჩატმისას მოიქცევიან პირიქით, ე. ი. ჯერ ჩატმევენ ხელებს და შემდეგ თავიდან ჩატმევენ დაქცილ პერანგს, შემდეგ პერანგს მოკიდებენ ხელს ბოლოებში და ჩამოატმევენ ტანჩე.

მძიმე ავადმყოფთა ბუნებრივ მოთხოვნილებისათვის ხმარებაშია შესადგამი ჭურჭელი, მამაკაცთა და დედაკაცთა საშარდე ჭურჭელი. ისინი შეადგენენ მძიმე ავადმყოფის მოვლის საგნების აუცილებელ ნაწილს. შესადგამი ჭურჭლის შეცვლა რამე საოჯახო ნიერით, ძალიან ძნელია, განსაკუთრებით მძიმე ავადმყოფებისათვის, რომელთა წამოყენება ან დაჯდომა აკრძალულია. იშიტომ ყოველი ღონე უნდა ვისმართო, რომ შესადგამი ჭურჭლი ვიშოვოთ.

შესადგამი ჭურჭლის ან ღამის ჭურჭლის ხმარების ჭინ მასში ასხამენ ცოტა ცხელ წყალს, რომ ავადმყოფთ ავადმყოფს უსიამოვნო გრძნობა მისი სხეულის ცივ სავანზე მიკარების გამო.

დიდი ურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ავადმყოფის ლოგინი არ გაჭუპყიანდეს კარში გასელის დროს. თუ ავადმყოფს ახმირებენ შესადგამ ჭურჭელს, მაშინ ჭურჭელი უნდა დაიღვას მუშაბბაზე ან სხვა სპე-

კუიალურ საფარზე. დედაქაცის საშარდე ქურჭლის ხმა. რებისას, უნდა ეცადოთ, რომ ჭურჭლის პირი მჭიდროდ იყოს მიქრული გარე სასქესო ორგანოზე.

თმების შოვლაც აგრძოვე წარმოადგენს ავადმყოფზე ზრუნვის მუდმივ საგანს. ყოველდღე უნდა დაივარცხნოს თმები ხშირი სავარცხლით. ავადმყოფ მამაქაცებს ავადმყოფობის პირველ დღიდანვე უშჯობესია თმა მანქანით მოვრიკოთ. ხშირად ასევე უნდა მოვექცეთ ქალებსაც, რაღაც ხანგრძლივ ავადმყოფობის შემთხვევაში თმების სისუფთავის დაცვა ძნელია. ამას გარდა, დიღი ხნით წოლის გამო ავადმყოფის თმები იმდენად აიშლება, რომ მათი დავარცხნა იწვევს ავადმყოფის ტანჯვას.

თუ თმაში გაჩნდა კბენარი და წილები, მაშინ თავი უსათუოდ უნდა გაიკრიჭოს და შეძლებისდაგვარ დაიბანოს, თმა კი დაიწვას.

ავადმყოფის მეთვალყურეობა

მოშველი მუდმივ უნდა უთვალყურებდეს ავადმყოფობის მიმდინარეობას, ავადმყოფის მდგომარეობის და თვითგრძნობის ყველა ცვლილებები ამ დაკვირვებათა მიხედვით უნდა ეცნობოს ავადმყოფის მკურნალ სამედიცინო მუშაქს.

ავადმყოფის მდგომარეობის ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებელს სხეულის ტემპერატურა წარმოადგენს. ტემპერატურის ცვლილებები, მისი ქანაობა დღე-ლამის განმავლობაში, უეცარი მისი მომატება ან დაკლება—ყველაფერი ეს აუცილებლად უნდა იცოდეს ექიმია ან ფერშალმა, რომ სწორად გამოარკვიოს ავადმყოფობა, დანიშნოს შესაფერი მკურნალობა ან დროულად მიიღოს საჭირო სასჭრაფო ზომები.

სამედიცინო მუშავის გამოცდიდ ხელს შეუძლია გაუგოს ავადმყოფს სიცხე, ზოგჯერ უმნიშვნელოც, ზელის გულით, ან წელის ზურგის ავადმყოფის შუბლზე ან სხეულზე შეხებით. სიცხე შეიძლება გავიგოთ მაჯის ცემის დათვლითაც, რადგან უმეტეს შემთხვევაში სიცხის მომატებასთან ერთად მატულობს მაჯის ცემაც: მაჯა აჩქარებულია. თუ როგორ უნდა დაითვალით მაჯი, ამაზე ქვემიდ ვიტყვით, მაგრამ ეს საშუალებანი არ იძლევაან სავსებით ზუსტ შედეგებს.

ტემპერატურის უფრო ზუსტი გამორკვევისათვის სარგებლობენ თერმომეტრებით. თერმომეტრი მოწყობილია ისე, რომ ვერცხლის წყლის სვეტი აიწევა გათბობის გამო წვრილ მიღაუში განსაზღვრულ სამაღლემდე, და შემდეგ თავისით აღარ დაეშვება. ეს იმით არის კარგი, რომ შესაძლებლობას იძლევა რიგიანად დაუკირდეთ, თუ რამდენ გრადუსამდე აიწია ვერცხლის წყალმა. თერმომეტრის ფირფატია დაყოფილია გრადუსებზე, თითეული ვრადუსი—დაყოფილია 10 წილად. ტემპერატურა 37° -ზე ზევით მაჩქენებელია სიცხის.

თერმომეტრის მიცემის წინ, ის უნდა დააქნიოთ, რომ სინდიი დავიდეს ძირამდე. ამისათვის დაიკავებენ მარჯვენა ხელით თერმომეტრს, მაგრად მოკიდებენ თითებს და რამდენიმეჯერ ლონივრად დააქნევენ მას, შემდეგ შეხედავნ, რამდენად დაიწია ვერცხლის წყალმა.

თერმომეტრს ავადმყოფს იღლიაში ჩაუდებენ, რომელიც წინასწარ უნდა იყოს კარგად გამომშრალებული. თერმომეტრის ბოლო არ უნდა ჩანდეს იღლიას გარედავადმყოფის ხელი უნდა იყოს მოკეცილი და იდგას გულზე. თერმომეტრი უნდა დარჩეს იღლიაში არა ნაკლები 10 წუთისა.

ჩვეულებრივად სიცხეს ზომავენ დღეში ოჯგური: დილის 7 საათზე და საღამოს 6—7 საათზე. საღამოს უმეტეს შემთხვევაში, ტემპერატურა მეტია, ვიდრე დილის. მკურნალი სამედიცინო მუშაქის მითითებით ტემპერატურა, ზოგიერთ შემთხვევაში ხშირად გაიზომება.

ტემპერატურის გაზომვის შედეგ, ის დაუყონებლივ უნდა ჩაიწეროს გაზომვის რიცხვისა და დროის ჩვენებით. ჩაწერია უნდა სწარბოებულ ყოველ-დღი ერთ და იმავე ფურცელზე.

ტემპერატურის ჩასაწერად უმჯობესია ვისარგებლობით დახაზული ქალალდით. ფურცელი დაიხაზება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზებით. ჰორიზონტალური ხაზზი შეესაბამება თერმომეტრის დაყოფას და ისე როვორც თერმომეტრი, ალინიშნება სათანადო ციფრებით. ჰორიზონტალური ხაზები ყოფენ ქალალდს დღეებად და დღის ნაწილებად—დილა და საღამო. ზემოდ, ყოველ ორ ხაზს შორის, რომელნიც ყოფენ დღეს, ჩაწერება თვის რიცხვი და ილინიშნება დაავადების დღე. იმ ხაზებს შორის, რომელნიც „დილას“ და „საღამოს“ ანცალკევებენ, ჩაწერება სათანადო ასოებით „დ“ და „ს“. ტემპერატურის გაზომვის შემდეგ მომელელი აღნიშნავს თერმომეტრის ცნობას მსხვილი წერტილით ან წრით დახაზულ ქალალდის სათანადო ადგილზე. შემდეგ თუ ამ წერტილებს ან წრებს შევართებთ ერთი მეორესთან ხაზით—მივიღებთ „ტემპერატურულ მრუდს“, რომელიც თვალსაჩინოთ დაგვანახვებს ტემპერატურის ცვლილებებს ავალყოფნის დროს და მის მერყეობას. ამნაირად სწერენ ყოველთვის ტემპერატურას სავადმყოფოებში. მომელელს შეიძლება დაევალოს მეტვალყურეობა ავალყოფის მაჯაზე და სუნთქვაზე. მაჯა დაითვლება

ასე: მომელელი დაადებს ოთხ თითს ხელს შტევნის
ცოტა ზევით ცერის მხარეზე. ზოგჯერ მაჯის უცბად
ვერ იგრძნობა. მაშინ ან უნდა უფრო დავაჭიროთ თა-
თები ან ოდნავ დავსწიოთ თითები ქვემოდ, ზემოდ ან
გვერდზე. მაჯის ცემა უნდა თვალოთ წუთის განმავლო-
ბაში.

საშუალო ასაკის კაცს, რომელიც მშვიდად წევს,
მაჯის ცემა აქვს 60—70 წუთში. ბავშვების მაჯის ცემა
უფრო ჩეარია. ისეთი ავადმყოფობის დროს, რომელსაც
თან ახლავს ტემპერატურის მომატება, მაჯის ცემა მნიშვ-
ნელოვნად მატულობს და 100—120 და უფრო მეტსაც
აღწევს წუთში. ზოგიერთ დაავადების დროს მაჯა პირი-
ქით, ნელდება 40-მდე და თითქმის 30-მდე წუთში. შე-
მოწმების მიზნით, სასარგებლობა მაჯა დავითვალოთ ორ-
ჯერ. განსხვავებას 2—3 მაჯის ცემაში რასაკირველია
არა აქვს მნიშვნელობა.

K 932
სუნთქვა, ისე; როგორც მაჯის ცემა და ტემპერა-
ტურა, დაავადების მიხედვით ან აჩვარდება ან შენელდება. ჩვეულებრივად ტემპერატურის მომატებასთან ერთად
აჩვარდება სუნთქვაც. განსაკუთრებილი მნიშვნელობა
აქვს მეთვალყურეობის სუნთქვაზე ფილტვების, გულისა
და ყელის დაავადების დროს. სუნთქვითი მოძრაობას
წუთში არყვევენ ავადმყოფის გულზე ხელის დადებით
და საათზე ყურებით. ჯანმრთელ კაცს მშვიდ მდგომა-
რეობაში წუთში 16—18 სუნთქვითი მოძრაობა აქვს.

მაჯის ცემისა და სუნთქვითი მოძრაობის დათვ-
ლის შედეგები მაშინვე უნდა ჩაიწეროს იმავე ქაღალდ-
ზე, სადაც იწერება ტემპერატურა.

იმავე ქაღალდზე შეიძლება ჩაიწეროს სხვა დაკარ-

ვებები დღის განმავლობაში: ოვითგრძნობა (დამატება-

2. ავადმყოფის მოვლა.

ყოფილებელია, თუ (უფლი), ჩივილები ტკივილებზე, ძილი (მშეიღი, მოუსვენარი, უძილობა და სხვა), მიღა (ქარგი, ცუდი, უმაღლობა და სხვა), განავალი და განავალის ხასიათი (მაგალითად: კარში გასვლა დამოუკიდებლად, განავალი ჩვეულებრივი თუ ფალარათიანი, განავალი სისხლით და ლორწოთი, ოყნა და სხვა). იქავე სწერენ საჭიროების შემთხვევაში სხვა დაკვირვებებსაც. აუცილებლად აღინიშნება იგრეთვე შპამე ავადმყოფის მდგომარეობის მონაცემები: ბოდვა, უგრძნობო მდგომარეობა.

მიზანი სამართლის კონცენტრაცია შესრულება

ექიმის ან ფერშლის მიერ დანიშნული სამჯურნალო დანიშნების შესრულება მოითხოვს განსაზღვრულ ცოდნას და გამოცდილებას. ასეთ დანიშნების შორის მომველეს უფრო ხშირად უხდება გაკეთება საობურის, კომპრესის, მორგვის, ოყნის და კოტოშების.

ძალიან მაღალი ტემპერატურის, ან ისეთი ტემპერატურის დროს, რომელსაც თან ახლავს ავადმყოფის უგრძნობლობა ან ბოდვა, ბევრ შემთხვევაში დაინიშნება ცივის დადება თავზე. ამისათვის გამოიყენებენ ყინულს ან ცივ წყალში დასველებულ ჩიარს. ცხვირსახოცს, პირსახოცს, ბამბის ქსოვილის ან ტილის ნაჭერს ასველებენ ცივ წყალში, ოდნავ გაწურენ, და დაკეცენ რამდენიმეჯერ და იფარებენ თავზე, ისე, რომ დაიფაროს შუბლი, საუეთქმელები და კეფის ნაწილი. გათბობის მიხედვით, დაახლოვებით, ყოველ 5 წუთში ქსოვილს კვლავ ასველებენ.

ყინულისა ან თოვლის გამოსაყენებლად სარგებ-
ლობენ. სპეციალური რეზინის ბუშტით. ყინულს ამტვ-
რევენ წვრილად, ყრიან ბუშტში და ბეჯითად მოუკერენ
სახურავი, ყინული რომ უფრო ნელა გაღნეს, ბუშტში
შეიძლება ჩაუმატოთ 2 სუფრის კოვზი მარილი. ბუშტს
უნდა შემოვახვაოთ ან დაუფინოთ ქვემოთ პირსახოვი.

ზოგიერთ შემთხვევაში ყინულიანი ბუშტი არ დაი-
დება უშუალოდ თავზე, მაშინ ის უნდა დავკიდოთ, ისე
რომ არ გადმოვარდეს ივადმყოფის თავის შემთხვევით
გადაბრუნების ან ავარდმყოფის მშეოთარე ქცევის დროს
ანდა როდესაც საჭიროა, რომ ბუშტი არ დააწვეს მტკი-
ვან ადგილს. ყინულიანი ბუშტი შეიძლება ედვას თავ-
ზე, დაახლოვებით, 1,5—2 საათი, რის შემდეგ ის უნდა
მოვაშოროთ არა ნაკლები ერთი საათით და შემდეგ
კვლავ დავადვათ (ერთი საათის შესვენება). ზოგიერთ
დაავადებათა დროს ციგს ადებენ სხეულის სხვა ნაწილ-
ზეც, მაგალითად, მუცლის არეში და სხვა.

თუ საჭიროა ყინულის გამოყენება სხეულის მეტად
მცირე არეზე, მაგალითად ყურს უქან, საჭიროა შეიცვ-
როს მუშამბის პარკი, გამოვიყენოთ რეზინის სათოო
და სხვა.

სითბოს დანიშვნის შემთხვევაში ხმარობენ ან ნა-
ყიდ სათბურას ლითონის ან რეზინისას, ან უბრალო
ბოთლებს. სათბურაში ფრთხილად ჩაასხამენ მდუღარეს,
ბეჯითად დაუცობენ თავს საცობით, შემდეგ აყირავებენ
რომ დარწმუნდენ, წყალი ხომ არ გამოდის, შემდეგ
შემოახვევენ სათბურას პირსახოვს ან სუფთა ჩვარს და
მხოლოდ ამის შემდეგ დაადებენ სხეულზე. ასევე უნდა
მოიქცენ ბოთლის გამოყენების შემთხვევაში. სათბურას
გამოყენება მოითხოვს დიდ სიფრთხილეს, რომ არ გა-

მოვაწვიოთ სილამშვრე, ეს განსაკუთრებით უნდა გვხსოვდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ივაღმყოფს დაკარგული აქეს კანის გრძნობადობა (მაგალითად, სიდამბლის დროს).

ძალიან ხშირად სითბოს ბმარობენ ივრეოფე სათბობ კომისარების სახით. კომისარების წესიერად დადგების მიზნით, საჭიროა ზუსტად დაკუკეთ შემდეგი წესები:

1. იღეთ ბამბის ან ტილოს ქსოვილის ან დოლანის ნაკერი, დაკეცეთ რამდენიმეჯერ და დაიკუპნეთ იმ ზომაზე, რამდენიც საჭიროა აუკანმყოფი სხეულის ნაწილის დასაფარავად.

2. იღეთ საკომპრესო მუშამბის ნაკერი ან კომპრესის ქაღალდი, ხოლო მათი არჭიონობის შემთხვევაში უბრალო გაქონილი ქაღალდი, ზომით ცოტა მეტი, ვიდრე დაკეცილი ქსოვილი, რომ კლეინკის ან ქაღალდის გოლოები ჩანდეს ქსოვილის ქვეშ.

3. მოამზადეთ ბამბის ფენა, ფანელის ნაკერი ან დაკეცილი მატულის ქსოვილი ისეთი ზომის, რომ მათი ბოლოები ჩანდეს მუშამბის ან ქაღალდის ქვეშ.

4. დაასველეთ დაკეცილი ქსოვილი ოთახის ტემპერატურას წყალში ან სხვა სითხეში, გაწურეთ, გაასჭირეთ და მშედროდ დააფინეთ საჭირო აღვარუშებე. შემდეგ ზეფიდან დააფინეთ მუშამბა ან ქაღალდი, ბამბის ან ფანელის საფენით, მასთან უნდა ეცადოთ, რომ ყველა ეს საგნები ეფინებოდეს მშედროთ, უნაოჭოდ.

5. შეახვიეთ ბამბით ან შარჟით მოელი ეს ნიფენი. ამის შემდეგ ავაღმყოფი შეფუთნეთ.

კომისარები გაიჩირეთ რამდენიმე საათით (ჩვეულებრივათ არა უმეტეს 4-სა), შემდეგ გამოცეალეთ. კომისარების აღმის შემდეგ კანი უნდა შემშრალდეს.

მდგოვი უფრო ხშირად იჩხარება სახუნთქი ორგანოების დაიღადების მკურნალობის დროს.

უჭიობებისა გამოვიყენოთ მშა, ნაყიდი მდგოვი. ასეთ მდგოვს ასეველებენ რამდენიმე წამის განმავლობაში თბილ წყალში, შეძღვები მაშინვე დაიღებენ საჟირო ადგილზე და აშაგრებენ თავსაფარით, შარტით და სხვა.

თუ მშა მდოვეი არ იშოვება, მაშინ ის უნდა დამზადდეს სახლში. ამისათვის აიღებენ 1—2—3 სუფრა-კოვზ მდოვებს (ზოგჯერ მეტი, ზოგჯერ ნაკლები — სხეულის იმ ნაწილის არეს მიხედვით, სადაც უნდა დაეფრნოს მდოვვი). მდოვებს აურევენ თევზშედ იმდენიმე რაოდენობის ფქვალში და დაასხამენ ზედ მცირე რაოდენობის მდუღარეს, რომ დამზადებული გამოვიდეს თხელი ფაფა, რომელიც ბეჯითად იზილება კოვზით. ამნაირად დამზადებულ მდოვებს ჩამოვამენ და ცოტათი გააგრილებენ. მდგოვის მზადყოფნას გაიგებენ შწარე სუნით და თვალების გაღიზიანებით, რომელიც შეიცნობა თუ დააცემულდებით თვეუშს. ამის შემდეგ იაღებენ ბამბის ან ტილის ქსოვილს, (ან ჩვარს) დააცხებენ ზედ მდოვებს თხლად, ქსოვილის წაუცხებელ ბოლოებს შემოუკეცევნ და მდოვე მზადა. მდოვე იმ ანვარიშით უნდა დაეფინოს სხეულის მტკიცნეულ ნაწილს, რომ სრულიად დაფაროს ივი.

ზოგჯერ შესრიღი მდოვეი დიდი ხნის შენახვის გამო ჭკარგავს თავის სიმაგრეს. მაშინ ფქვილი ნაკლები რაოდენობით უნდა დაემზატოს: ან დამზადდეს მთლად უფქვილოდ. უნდა მიეიღოთ მნედველობაში, რომ მდოვეს შეუძლია მთლიანად დაჭკარგოს სიმაგრე. ასეთ შემთხვევაში ის უკეთ აღარ გამოდგება. მშრალი მდოვეის ხარი-

სხში ჭიხასწარ დარწმუნების მიზნით მას ამზადებენ ჯერ მცირე რაოდენობით სასინჯავათ.

მდოგვის მოქმედების გამო კანი უნდა გაწითლდეს. მდოგვის გაჩერება 15—20 წუთზე მეტი არ შეიძლება, რადგან შეიძლება მივიღოთ სიდამწვრე. იმავე დროს არც ისე შეიძლება, რომ დავემორჩილოთ ავადმყოფის პირებს პროტესტებს და საჩქაროდ ავიღოთ მდოგვი. მდოგვის აღების შემდეგ კანს წაუსვამენ ვაზელინს ან მიაფრქვევენ თალკს,

ზოგიერთ შემთხვევაში ექიმი გამოწერს მდოგვში ავადმყოფის შეხვევას. მაშინ ავადმყოფის ვახვევისათვის საჭმარისი ზეწარი ჩაიღობა მდოგვის ხსნარში (ორი პეტრი მშრალი მდოგვი ერთ ლიტრა თბილ წყალზე). ოდნავ გაწურული ზეწარი დააფინეთ მასზე უფრო ფართო საბანზე და შეფუთნეთ ავადმყოფი.

კუტოშის წესიერად დაღმისათვის საჭიროა ერთგვარი გამოცდილება. თუ მოშელელს ასეთი გამოცდილება არა აქვს, მაშინ ის ჯერ უნდა დაუკირდეს, თუ როგორ აკეთებს ამ საჭმეს სხვა გამოცდილი პირი და რამდენიმეჯერ გაიგარჯიშოს მასთან.

თავგაბირველად კოტოშები უნდა მოაწხადოთ, დაბრუშნდეთ, რომ ისინი სუჟთა და მშრალია და გააწყოთ ერთ აღგილზე. იქვე უნდა დადგათ ჭიქა ან ლამბაქი სპირით ან ეთერით. ლითონის ან ხის ჩხირის ბოლოზე მაგრად შემოახვიდეთ ბამბა, დაამზადეთ ასანი ან დაავალეთ ვინძეს დაიკავოს ანთებული სანთელი ან ანთებული კვარი. კოტოში რომ უკეთ დადგეს, კანს დაასველებენ თბილი წყლით ან წააცხებენ ვაზელინს. ასეთი მომზადების შემდეგ მარჯვენა ხელში დაიკავებენ ბამბიან ჩხირს, ამოავლებენ მას სპირტში, მოუკიდებენ სანთელ-

ზე (როშელიც მოშორებით უნდა იქნას სპირტიდან), შემ-
დეგ სჭრაფიდ აიღებენ მარცხენა ხელით კოტოშს, გა-
დააბრუნებენ ხელში ფსკერით ზევით და მარჯვენა ხე-
ლით უცბიდ შეიტანენ შიგ ანთებულ ჩინოს ქვევიდან,
შემდეგ ამოიღებენ და უცბიდ მიადგამენ კოტოშს სხეულ-
ზე. ყურადღება მიაქციოთ, რომ კოტოში ანთებულ ჩი-
ნის შეტანისს აღია არ შეეხსოს კოტოშის კიდეებს,
რომ არ მოესწეოთ ავადმყოფის კანი. ასევე დაიღვე-
ბა დანარჩენი კოტოშებიც. ჩინის გაქრობის შემთხვევ-
აში ის კვლავ ამოავლებენ სპირტში და უკიდებენ სან-
თელზე. საჭიროა გაუფრთხილდეთ, რომ ჩინირიდან ცხე-
ლი სითხე არ დაეწვეთოს ავადმყოფის სხეულს, ამიტომ
კოტოშების გათბობა არ უნდა სწარმობდეს უშუალოდ
ავადმყოფზე.

თუ კოტოში კარგათაა დაფვმული, ის მაგრად
იქრს, გასაჭირია მისი მოკლეჯაც. კანი შეიკეცება კო-
ტოშით და გაწითლდება. ჩეეულებრივად დგამენ არა-
ნაკლებ 10 კოტოშის, ხოლო თუ საჭიროა კოტოშების
დადგმა სხეულის უფრო მეტ არეზე, მაგალითად, მთელ
ჟურგზე, მაშინ დგამენ მეტ კოტოშებს. კოტოში უნდა
იდგეს 20 წუთამდე, ავადმყოფს ამ ხანში უნდა დავ-
ხუროთ და ის მშვიდად უნდა იწვეოს.

კოტოშები მოიხსნება ასე: ერთ ხელს მოკიდებენ
კოტოშს, ხოლო მეორე ხელის საჩვენებელ თითს აჭე-
რენ კანზე კოტოშის კიდესთან, მაშინ პაერი ერთბაშად
შედის კოტოშში და ის სხეულს შორდება.

კვალი კარგად დადგმულ კოტოშისა, მოლურჯო
ან მოკარდისფერო რგოლების სახით, დიდხანს არ შო-
რდება ტანს.

აფალმყოფისათვის ოყნის დანიშნვის შემთხვევაში
მომვლელმა უნდა მიიღოს ამის შესახებ ზუსტი ინსტ-
რუქტია.

ოყნის აკეთებენ ნაწლავის დაცლის შინნით, აგრე-
ოვე სამკურნალო მიზნითაც. ამ შემთხვევაში ნაწლავში
შევავთ ესა თუ ის წამალი. ზოგიერთ დაბვადების შემთ-
ხვევაში მიღებულია აგრეთვე ოყნის გაცემა არგანიზმ-
ში საკვებ ნივთიერებათა შეტანის მიზნით.

უფრო ხშირად, რასაკვირველია, ხშარობენ ოყნას
ნაწლავის დაცლის მიზნით. ასეთი ოყნის გაკეთებისა-
თვის ხმარობენ ეგრეღწოდებულ „ესმარხის ტოლჩას“,
რომელიც მომარავებულია რეზინის მიღით და ონკანით
ბოლოზე.

ტოლჩაში ასხამენ 3—5 ჭიქა ნადულ თბილ წყალს
(არავითარ შემთხვევაში ცხელს), ამ დროს ონკანი დაკე-
ტილი უნდა იყოს. შემდეგ ტოლჩას დაკიდებენ 0,5-დან
1 მეტრის სიმაღლეზე საწოლს ზევით, გააღებენ ონკანს
და გამოუშევებენ ტაშტში ცოტა წყალს, რის შემდეგ
ონკანს მაშინვე დაკეტენ, ხოლო ბოლო წვერს წაუ-
ცხებენ საპინს ან ვაჭელის და შეჰვერ უკანა ტან-
ში. აფალმყოფი უნდა იწევს გვერდზე, უკანა ტანი
გადმოწეული უნდა იყოს საწოლის კიფეზე, ხოლო
შესლები მოღუნული უნდა ქონდეს. ღოვინი რომ არ
დასცელდეს, მის მუშაბბა დაპირისეთ ან რაიმე სუფთა
წიგრა, ოყნის ბოლო უკანა ტანში უნდა შევიყვანოთ აუ-
ჩქარებლად, მეტად ფრთხილად, ჯერ პირდაპირ თავი-
საკენ, შემდევ შეაბრუნეთ სწორნაწლავში შესაყვანად
5—6 სანტიმეტრის სიღრმეზე. ონკანიც ცერეთვე თან-
დათანობითვე უნდა გააღოთ; თუ წყალი არ შედის ნა-
წლავში, მაშინ საჭიროა მეტად ფრთხილად და ყოვე-
ლივე ძალდატანების გარეშე შესცვალოთ ბოლოს მდგრ-
აბრეობა, და მიშართოთ ის ან ცოტა წინ ან ცოტა

უკან. შეიძლება მოხდეს ასეც, რომ წყალი ჯერ კარგად მიდის, შემდევ კი უცბად გაჩერდება, რაც შეიტყობა ტოლჩაში წყლის დონის დაწევის შეჩერებით. ასეთ შემთხვევაში უნდა გამოილოთ ოყვას ბოლო, ის გაწმინდოთ ცოტა, კიდევ გამოუშვათ წყალი. მოსცხოთ გაზელინი ბოლოზე და კვლავ შეიყვანოთ უკანა ტანში.

მას შემდევ, რაც ოყვა გაკეთ ლა, ავადმყოფმა რაც შეიძლება დიდანს (რამდენიმე წუთს) უნდა გაიჩეროს წყალი. ამის შესახებ ავადმყოფს უნდა შეიცეს სათანადო გაფრთხილება.

ოყვის მოქმედების გაძლიერების მიზნით წყალს შეიძლება დაუმატოთ ცოტა სარეცნი საპონი.

ესმარხის ტოლჩა შეიძლება შევცვალოთ მინის დიდი ძაბრით ან ბოლო მოჭრილ ბოთლით.

როგორ შევცვეთ ავადმყოფს წამალი

ავადმყოფისათვის გამოწერილი წამლის დროულად, ზუსტად დანიშნულ რაოდენობით შიცემა—წარმატებით მკურნალობის ძირითადი წესია.

უფრო ხშირად წამლს უწერენ ან სხვადასხვა სითხის ან ფხვნილის და ტაბლეტების სახით.

ყველა წამლს უნდა ქონდეს რეცეპტები წარწერით „როდის და რამდენი უნდა იქნეს მიღებული“. თუ წამალი მიიღდეს ისე, რომ რეცეპტი მოშორებულია, მაშინ წამლების არევის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა რეცეპტი მიეწეოს წამალს. ზოგჯერ უწერენ ავადმყოფს რამდენიმე წამალს ერთად. ასეთ შემთხვევაში წამლების მიღების წესი და რიგი მოშველმა უნდა დაიწეროს ცალკე ქალალზე წამლების ნომრების მიხედვით და ჩაწერის რიგითი ნომრების რეცეპტებზე აღნიშვნით.

წამალი უნდა ეწყოს მაგიდაზე საწოლთან, თუ არის იმედი, რომ ბავშვები ვერ მიეკარებიან მას. წინააღმდეგ შემთხვევაში წამლები უმჯობესია ჩაქეროთ.

თხევად წამლებს აძლევენ პატარა ჭიქით (წვეობა), ან კოვნით, უმჯობესია ვისცრგებლოთ მენზურებით, სპეციალურ ჭიქებით, რომლის გერლშე აღნიშნულია ხაზებით სითხის რაოდენობა (საჩივე კოვნი, საღესრო-ტო, სუფრის ან გრამები). მენზურა, პატარა ჭიქი ან კოვნი უნდა იდვას იქვე წამლებთან საფარს შევიწი მტვე-რისაგან დაცვის მიზნით.

წამლის მიცემამდე, მომცელელი უნდა დარწმუნდეს საჭირო წამლის ამ დროს მიცემის სისწორეში. მომცელელი ასე უნდა მოიქცეს ყველა შემთხვევაში, როგორადაც არ უნდა იცნობდეს ის წამალს მათი გარევნობით და რამცდომადაც არ უნდა იყოს ის დარწმუნებული თავის თავში.

წვეობის მიცემისას, ჯერ უნდა ჩაწვეოთონ ჟურ-ქელში საჭირო რაოდენობა წვეობი, და შემდეგ დაუმა-ტოთ წყალი. თუ ასე არ მოიქცით, მაშინ ანგარიშის შე-შლის შემთხვევაში წვეობს წამლის შეშაში უკან ფერარ ჩასხამთ.

ჩაწვეოება უმჯობესია აწარმოოთ თვალის პიპე-ტით.

ფხვნილს ასე აძლევენ: ქალალფს ფრთხილად გა-შლიან, გააღებინებენ ავადმყოფს პირს და დააყრიან ფხვნილს ენის წვერზე (ამ დროს ავადმყოფმა სუნთ-ქვა უნდა ზეაჩეროს) და წყალს ფუბად დაალევინებენ.

ტაბლეტები, გადაყლაპვის წინ, უკეთესია კბილით დაამტვრიოთ და მიაღებინოთ, ისე როგორც ფხვ-ნილი.

მწარე ფხვნილი (მაგალითად, ქინა) შეიძლება გა-დააყლაპინოთ ავადმყოფს პაპიროსის ქალალდში გახვეუ-ლი. მწარე ტაბლეტები არ უნდა უამტვრიოთ ქბი-ლებში.

ასე აღებინებენ წამალს შიგნით. არსებობს აგრე-
თვე პოელი რიგი გარედ სახმარი წამლებისა, რომელთა
გამოყენების წესი აგრეთვე უნდა აუხსნას მომვლელს
მკურნალ სამედიცინო მუშაქშა.

თვალებში წვეთების ჩასხმის დროს, მომვლელმა
განსაკუთრებით ბეჯითად უნდა დაიბანოს ხელები. პიპე-
ტით აღებენ რამდენიმე წვეთ წამალს შუშიდან. ქვე-
და ქუთუთოს თითით ოდნავ ჩამოსწევენ დაბლა. წვე-
თის ჩასხმის დროს ავადმყოფი უნდა იყურებოდეს ზე-
გით. ამის შემდეგ თვალს დაადარებენ ბამბას.

ყურებშიც წვეთების ჩაშვებას უმჯობესია ვაწარ-
მოებდეთ პიპეტით. ზოგჯერ კი წამლის ჩასხმა იძულე-
ბული ვართ ვაწარმოვოთ კოვზიდან, განსაკუთრებით
მაშინ, როდესაც დანიშნულია წამლის წინასწარი გათ-
ბობა, ეს კი უფრო მოსახერხებელია კოვზით. წამლის
გათბობის შემდეგ კოვზს დაბლიდან უნდა შევეხოთ ხე-
ლის მტევნის ზურგით, რომ დავრწმუნდეთ ხომ ჭარ-
ბად არ გამობარა წამალი. ჩაწვეთების დროს ყურის
ნიუარას ოდნავ გადავწევთ უქან და ზევით.

რამდენიმე წუთი ავადმყოფი უნდა იწვეს გვერდზე,
ავადმყოფი ყურით ზევით, შემდეგ იმისათვის, რომ გამო-
უშვათ წვეთები ყურიდან, ვაჟარებთ ყურზე ბამბას,
რომ არ დასველდეს ბალიში და ვაბრუნებთ ავადმყოფს
მეორე გვერდზე. ხშირად ყურში წვეთების ჩასხმის
მაგიერ, ხმარობენ ტურუნდას (მაგრად დაგრეხილი
ბამბა).

წამლის ჩაწვეთება ცხვირში არ წარმოადგენს სიძ-
ნელეს. საჭიროა მხოლოდ უთვალყუროთ, რომ ავად-
მყოფმა არ გადაყლაპოს წამალი, არამედ გადმოაყურ-
თხოს.

დიდი მნიშვნელობა აქვს პიპეტის წესიერ შენა-
ხვას. პიპეტის ხმარებამდე და ხმარების შემდეგ საჭი-
როა მისი რამდენიმეჯერ გარეცხვა ნადუღ წყალში და
შემდეგ შენახვა კოლოფში, ისე რომ პიპეტის ბოლო
შეხვეული იყოს ბამბაში. შეიძლება შევინახოთ პიპეტის
მინის ნაწილი ბორის სიმევის სხნარში. ამისათვის სათ-
ხიან ქილოს გადაატავენ დოლბანდს და მასში ჩაარჭო-
ბენ პიპეტს.

თვალში მაღამოს ჩასაცხებად ხმარობენ მინის
ჩინრს.

დაზელვის და ჩაზღვის დროს წამილს დაისხამენ
ოდნავ მოლუნელ ხელის გულზე და ზელენ საჭირო
აღილს, სამელიცინო მუშაკის მითითებისამებრ.

რაღა თქმა უნდა, ხმარების შემდეგ ყველა წამალი
უნდა იყოს მოთავსებული თავიანთ აღვილზე.

ავადმყოფის კვება

ავადმყოფის წესიერ კვებას მეტიდ დიდი მნიშვნე-
ლობა აქვს ჩქარი განკურნებისათვის.

რითი და როგორ იკვებოს ავადმყოფმა — ამის შე-
სახებ ავადმყოფის მკურნალმა ექიმმა ან ფერზალმა მო-
მვლელს დაწერილებითი დარიგება უნდა მისცეს.

ხშირად ავადმყოფს უწერენ დიეტას. ასეთ შემთ-
ხვევაში უნდა იყოს მითითება, თუ რომელ პროდუქტე-
ბისაგან უნდა დაწარდეგს საჭმელები და როგორი ქრ-
ძი დამზადდეს. მომვლელმა ზუსტად უნდა შეასრულოს
მიღებული დარიგება და ავადმყოფის მხრივ არ დაუშვას
არავითარი დარღვევები დიეტაში, მაგრამ როგორც არ
უნდა იყოს დანაშნული სიჭმელი ავადმყოფისათვის, სა-
ჭიროა ყოველთვის გვახსოვდეს ავადმყოფისათვის კვე-
ბის შემდეგი ძირითადი წესები:

1. აფაღმყოფის საჭმელი უნდა შზადდებოდეს მაღალხარისხოვან, ახალ პროდუქტებისაგან.
 2. საჭმელი უნდა იყოს კარგად მოხარშული ან მოხრაცული, მაგრამ არაჭარბათ.
 3. საჭმელი უნდა ჟეიცავდეს ვიტამინებს.
 4. საჭმელი უნდა იყოს, რამდენად ჟესაძლებელია, გრჩხილები, ჰქონდეს სასიამოვნო სუნი და მიმზიდველი შეხელულება—ყველაფერი ეს ხელს უწყობს მაღის გაღივებას.
 5. აფაღმყოფს საჭმელი უნდა მიეცეს ყოფელთვის ერთ და იმავე დროს, და უფრო ხშირად, ვიდრე ჯანმრთელს, მაგრამ მცირე, პატარ-პატარა.
 6. ჭურჭელი უნდა იყოს კარგად გარეცხილი.
 7. აფაღმყოფის კვება უნდა სწარმოებდეს მისი მდგომარეობის მიხედვით, ასე მაგალითად, მძიმე აფაღმყოფს აქმევენ კოგჩით, ფრთხილით, რომ აფაღმყოფი მა პირი არ მოიწვას.
 8. აფაღმყოფის კეცხისას საბანს უნდა ეფაროს აფაღმყოფის წინ პირსახოცი ან შუშიამბა.
 9. აფაღმყოფის მიერ ჭამის დამთავრების შემსრულებელი ჭუჭყიანი ჭურჭელი ნარჩენებიანად დაუყონებლივ გააქვთ, ხოლო ნამრეცებს დაჰკვიან. აფაღმყოფს ტუჩი მოწმინდეთ, პირში წყალი გამოავლებინეთ.
 10. დასალევად აფაღმყოფს წყალი მხოლოდ გადალულებული უნდა მიეცეს. მძიმე აფაღმყოფს უქვებესია ასეთ პატარა ჩაიდანიდან.
- საჭმელი უნდა შზადდებოდეს რაც შეიძლება სუფთად, ბეჯითად დაბანილ ხელებით.
- უმი პროდუქტები და მზა საჭმელი დაიცვით ბუზისა და მტერისაგან.

გადამდებ ლაავადებულთა ქვების დროს უნდა ტარ-
ცებოდეს მთელი რიგი სპეციალური წესებისა, რომ
ავადმყოფის მიერ ნახმარი საჭმელის ნარჩენი და ჭურ-
ჟელი არ შეიქნეს სნეულების გაფრცელების მიზეზი.

გადამდებ ავადმყოფის მოვლა

არსებული წესებით მშვევე გადამდები სნეულებით
შეპყრობილი ავადმყოფი—პარტაზტიანი და შებრუნებუ-
ლი ტიფით, დიზენტერიით, მუცლის ტიფით და სხვ.
ლაავადების შემთხვევაში, სასწრაფოდ უნდა იქნეს მო-
თავსებული სავალდებულო წესით საავადმყოფოს სათა-
ნალო განყოფილებაში. ეს სავსებით გასაგებია, რაღაც
ასეთი ავადმყოფი წარმოადგენს სნეულების გაფრცელე-
ბის მიზეზს, და თუ ის არ მოვაშოროს ჯანმრთელებს,
მისგან შეიძლება სნეულება გადაედვას მოხლობლებსაც.
ავადმყოფობა ამნირად შეიძლება მისობრივად გაფრ-
ცელდეს.

გადამდებ სნეულებით დაავადებულის საავადმყო-
ფოში გაგზავნამდე, ან თუ ავადმყოფი რაიმე. მიზეზის
გამო ექიმის ნებართვით დატოვილია სახლში (მაგა-
ლითად, გრიპით დაავადებული), მათმა მომვლელებმა
ზუსტად უნდა შეასრულონ ყველა წესი, სნეულების გაფრ-
ცელების წინააღმდეგ.

სხვადასხვა გადამდები სნეულებანი მოითხოვენ
სხვადასხვა გამაფრითხილებელ ღონისძიებებშისაც. სათანა-
დო მითითებანი უნდა მიეცეს მომვლელს ექიმის ან
ფერშლის მიერ.

ამავე დროს, არსებობს მთელი რიგი საერთო წე-
სებისა, რომელსაც უნდა იცავდენ უმრავლეს გადამდებ
სნეულებათა შემთხვევების დროს.

ქს წესები ასეთია:

1. ავადმყოფის მოსავლელად გამოყოფილი უნდა იყოს ერთი კაცი.
2. ავალმყოფის მოვლის დროს ან საზოგადოდ ავადმყოფთან ერთ სადგომში ყოფნისას, მომვლელი უნდა იცვამდეს ხალათს ან ტანისამოსს, რომლის გარეცხვაც შეიძლება, ან სუფთა სპეც-ტანისაცმელს, ხოლო თავი შეხვეული უნდა ქონდეს ხილაბანდით ან ბერებით.
3. ხალათი და ტანისაცმელი მომვლელმა ივალმყოფის სადგომიდან გამოსვლის დროს უნდა გაიხადოს და აღვილებე დატოვოს.
4. ყოველთვის ავადმყოფის ან მისი ჩივთების შეხების შემდეგ მომვლელმა ხელები უნდა დაიბანოს.
5. ავადმყოფს აუცილებლად უნდა გამოუყონ პირადი სარგებლობისათვის ცალკე ჭრუჭელი, კონტი და დანა-ჩანგალი. თეთრეული.
6. მომვლელმა ზუსტად უნდა შეასრულოს ექიმის მიერ დანიშნული მიმდინარე დეზინფექციის ყველა ღონისძიება (ე. ი. ავადმყოფობის აღმგზელი მიკრობების მოსპობა). მიმდინარე დეზინფექცია ტარდება ყოველ-დღიურად ბინაზედ, სანამ ავადმყოფი არ გაუგზავნიათ საავადმყოფოში.

7. არავითარი მნახველები გადამდებ სწეულებით დაავადებულთან არ დაიშვებიან, და თითონაც სრულ განკურნებამდე და ექიმისაგან სათანადო ნებართვამდე უფლება არ აქვს ვინმესთან მისვლის.

ბევრ დაავადების დროს, მავალითად, მუცელის ტიფის, დიზენტერიის, პარატიიფის, ბევრითა გადამდებ სწეულებათა დროს, ავადმყოფის ნახმარი თეთრეული გრეცებუმდე უსათუოდ უნდა გამოიხარშოს (პარატელებ

ერთი საათის განმავლობაში) თუთქიან წყალში. ჭუჭყიანი თეთრეულის შენახვა არ შეიძლება, ის დაუყონებლივ უნდა გამოიხარშოს. ასეთ აფაღმყოფთა თეთრეულის რეცხვა უნდა წარმოებდეს სხვების თეთრეულისაგან გან-
ცალკევებულად.

იგივე გადამდებ სნეულებათა დროს საჭიროა აგ-
რეთვე ჭურჭლის არაპარტო გარეცხვა, არაშედ გარეც-
ხვამდე მათი გამოხარშვაც (უმჯობესია სოდის 2
პროცენტიან ხსნარში). ნაწლავთა გადამდებ სნეულე-
ბით დაავადებულის საჭმელის ნაშთები უმჯობესია შაშინ-
ვე დაიწვას.

ნაწლავთა გადამდებ სნეულებით დაავადებულთა განავალი, შარლი და სხვა გამონაყოფი მანამდე, სანამ მას გადაღვრიდენ საპირფარეშოში, უნდა გაუსნებოვნ-
დეს. მაგალითად, ასხამენ ზედ ორი საათით თანაბარი რაოდენობით $10-20\%$ -იან ქლოროფან ან ახალ გამომ-
წვარ კირის ხსნარს ან და აუსნებოკნებენ სხვა საშუალებით, მკურნალი სამედიცინო მუშაკის მითითებით. ასეთი ავად-
მყოფები საპირფარეშოში დაშვებული არ უნდა იქნან.

პარტახტიანი ტიფით, აგრეთვე შებრუნებითი ტიფით დაავადებულები მოითხოვენ განსაკუთრებულ ტრანზილ მოვლას. იგადმყოფი პირები დღესვე უნდა იყოს გაკრეჭილი (მოკრეჭილი თმა უნდა დაიწვას), მისი თეთრეული დაუყონებლივ უნდა გამოიხარშოს, ხოლო ზემო ტანსაცმელი დაუთოვდეს ორივე მხარეზე ცხელი უთოთი, განსაკუთრებით ჩაკერძი და ნაოჭებში.

აფაღმყოფის მახლობლებმა ყველამ ერთდროულად უნდა გაიარონ სანდანუშავებაში, ე. ი. დაიბანონ აბანო-
ში, ხოლო ტანთსაცმელი და თეთრეული ამ დროს უნდა იქნეს დამუშავებული ზემოხსენებული წესით.

თეორეულში და ტანთსაცემლში დამუდებულ მკბელის და წილების მოსპობის მიხნით უმჯობესია, თუ ეს შესაძლებელია, ისარგებლოთ საღეზინფექციო კამერით.

მკბენარისა და რწყილის მოსპობა—აუცილებელი საკიროებაა. მკბენარი—პარტასტიიანისა და შემრუნვებითი ტრიუის სწენის ერთადერთი გადამტანია ევადმყოფიდან ჯანმრთელზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პარტაზტიანი ტიფით ან შებრუნვებითი ტიფით, დიშენტერიით, მუცელის ტიფით, აგრეთვე პარატიფით დაავალებულები სავალდებულო წესით უნდა გაიგზავნონ საავადმყოფოში.

სავალდებულო ავრეთვე საავადმყოფოში მოთავსება დიფტერიით და ქუნთრუშით დაავალებულებისაც. უნდა გვასსოვდეს, რომ გაღამდებ სნეულებით დაავალებულები, აფრავევნ თავის ირგვლივ სნეულებას ნერწყვისა და ლორწოს შხეფებით, ლაპარაკის, დახველების, ცხვირულცემინების დროს. მჭიდრო ურთიერთობა ასეთ ავადმყოფებთან განსაკუთრებით საშიშია ბავშვებისათვის. ამიტომ მიღებულ უნდა იქნეს ყოველგვარი ზომა ავადმყოფის განსაკალებებისად ჯანმრთელისაგან. თუ შეუძლებელია მისი მოთავსება ცალკე ოთახში, მაშინ ავადმყოფის საწოლს უნდა ჩამოეტაროს შინამა ან ზეწარი. ყველა ჯანმრთელი ბავშვი ღალაზე უძლიერი უნდა გადასახლებულ იქნას სხვა საბაზი ან სხვა ბინაში. არავითარი მხახველები, განსაკუთრებით ბავშვები, ავადმყოფთან დაშვებულნი არ უნდა იქნან. ავადმყოფის თეთრეული, გარეცხვამდე, უსათუოდ უნდა გამოიხარისხოს (თუთქმი). უმჯობესია ასე მოვიქცეთ მაშინვე თეთრეულის გამოცვლისთანავე. ჭამუიძინი თეთრეული გამოცვლის შემდეგ დაუკირნებლივ უნდა შეიკრიბოს და პარ-

ქ'ნი მოთავსდეს. აგრეთვე ავადმყოფის შიერ ნახმარი ჭურჭელი უნდა გამოიხარშოს. არც ერთი ნივთი, რომელ საც ავადმყოფი ხმარობს. არ შეიძლება გატანილი იქნეს ავადმყოფის სადაცმიდან უდეზინფექციოთ. ავადმყოფის ნახველი, პირიდან ნაღები, განავალი, შარდი, საპირფარეშოში გადაღვრამდე უნდა გაუსწოვონდეს თანახმად ექიმის ან ფერშლის მითითებისა. სამედიცინო შუშაკის თხოვნით უნდა ჩატარდეს საერთო დეზინფექცია, მას შემდეგ, რაც ავადმყოფი გაიგზავნა საავადმყოფოში, ან მისი განკურნების შემდეგ, თუ ის იწვაოთავის ბინაზე. დეზინფექციის შემდეგ უნდა ჩატარდეს სადგომის საერთო ბეჯითი დასუფთავება.

ბოკლე ბროშურაში შეუძლებელია დაწვრილებით ალწერილ იქნას ყველა ლონისძიება, რომელიც შეიძლება საჭირო აღმოჩნდეს ავადმყოფის მოვლის დროს ამა თუ იმ შემთხვევაში. შეუძლებელია აგრეთვე გავითვალისწინოთ ყველა თავისებურებანი ან შემთხვევები, რომელიც შეიძლება წამოიჭროს და რომელთაც შეიძლება დასჭირდეს მოქნილობის, კეუის სიმკვირცხლის და სიძნელეთა და დაბრკოლებათა გადალახვის უნარი. ეს კი-დევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საჭიროა პრაქტიკული მომზადება სამკურნალო დაწესებულებაში და აგრეთვე ის, რომ ავადმყოფის ბინაზე მომვლელი უნდა ეცალოს მიღლოს დაწვრილებითი განმარტებანი და პრაქტიკული მაგალითები, ავადმყოფთან მოწვევულ სამედიცინო მუშაკისაგან.

ავადმყოფის მოვლა საპასუხისმგებლო და კეთილშობილი სამსახურის მოვლის ცოდნა დაუფასებელია ფაზდულყოფისათვის და საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს.



ЗОВО З 856.

2161

12/85

УХОД ЗА БОЛЬНЫМ
В ДОМАШНÉЙ ОБСТАНОВКЕ.
(На груз. яз.)

ГРУЗМЕДГИЗ
Тбилиси
1946